

**თ ბ ი ლ ის ის
ონკოლოგიური
დისპანსერი**

საქართველო, თბილისი, 0159, ლუბლიანას 5
ტელ.: 995 790 517008; 995 32 364485, 364486
ფაქსი: 995 32 364489
E-mail: info@cancer.ge



www.cancer.ge

**T B I L I S I
C A N C E R
C E N T E R**

5 Lubliana st. Tbilisi, 0159, Georgia
Tel.: 995790517008; 995 32 364485
Fax: 995 32 364489
E-mail: info@cancer.ge

№ 51

25.05.2012

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
მოადგილეს, ქალბატონ ირინე ქურდაძეს

ქალბატონო ირინე,

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მეტად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის სრულყოფილი წარმოებისათვის. დაავადებათა, მით უფრო ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენცია ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ასეთი მიდგომა ამცირებს ოჯახების მატერიალურ და ფსიქოლოგიურ ტვირთს და შესაბამისად, დამსაქმებელი ორგანიზაციების ეკონომიკურ ზარალს. ამას გარდა, სტაბილური ცხოვრებისა და შემდგომი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა .

შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“ თქვენს სისტემაში დასაქმებულ პირებს სთავაზობს უფასო გამოკვლევებსა და მანიპულაციებს ონკოპრევენციის პროგრამის ფარგლებში(იხ. დანართი) ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.

ვითვალისწინებთ რა არდადეგების სეზონის მოახლოებას, გთხოვთ, უზრუნველყოთ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ასევე თავად სამინისტროს თანამშრომელთა ინფორმირება ჩვენი დაწესებულების მზაობის შესახებ, რათა მათ შეძლონ გამოიყენონ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა. წინასწარი შეტყობინების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება პაციენტთა ჯგუფებისათვის სპეციალური დროის შერჩევა.

პატივისცემით,

შპს ქ.თბილისის ონკოლოგიური დისპანსერის

დირექტორი: გიორგი გაბუნია



დანართი

ქ.თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი უფასო გამოკვლევები და მანიპულაციები ონკოპრევენციის პროგრამის ფარგლებში

მამოლოგია:

- მამოგრაფია
- მამოლოგის კონსულტაცია
- ექოსკოპია (აუცილებლობის შემთხვევაში)
- ძუძუს ციტოლოგიური კვლევა (აუცილებლობის შემთხვევაში)
(ასაკობრივი ჯგუფი 40-70წ.)

გინეკოლოგია:

- გინეკოლოგის კონსულტაცია
- **PAP** ტესტი საშვილოსნოს ყელიდან
- კოლპოსკოპია (**PAP** ტესტის ჩვენების მიხედვით)
- საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკა
- საშვილოსნოს ყელის კონიზაცია
- საშვილოსნოს ყელის ექსციზიო
- საშვილოსნოს ყელის დიათერმოკოაგულაცია
(ასაკობრივი ჯგუფი 25-60წ.)

უროლოგია:

- **PSA-პროსტატის** სპეციფიური ანტიგენის განსაზღვრა
(ასაკობრივი ჯგუფი 45-70წლამდე)

გასტროენტეროლოგია:

- ფარულის სისხლდენის გამოვლენის ტესტი
- კოლონოსკოპია (სისხლდენის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში)
(ასაკობრივი ჯგუფი 50-70წ.)

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ნაციონალური სკრინინგ ცენტრის თაოსნობით და ფინანსდება ქ.თბილისის მერიისა და UNFPA-ის მიერ. პროგრამა ვრცელდება ქ.თბილისში რეგისტრირებულ მაცხოვრებელ და დეენილ მოსახლეობაზე.